


# ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ՎԱՐԱՐԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԵՎԱՐՈՒ-  
-ՑՈՒԹԱԿԱՏԱՏՅԱՆ



-1919-

036060 № 6

# ნაგაზოგადი

საქართველო  
კურნალისტური  
მუსიკოსური


70 ქ 07620 80630. ✠ 036060, 1912 წ.



263

† 002018 გოგონაშვილი.

|                                                                   |    |
|-------------------------------------------------------------------|----|
| I—იაკობ გოგებაშვილი—სურათი.                                       | 1  |
| II—იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო, — ნინო ნაკაშაძისა.      | 3  |
| III—ი. ს. გოგებაშვილის ხსოვნას — დექტი ბ. ქუჩიშვილის              | 7  |
| IV—იაკობ გოგებაშვილი, — ი. ირქმებელის.                            | 9  |
| V—მთის ხმა, — ბ. ქუჩიშვილის                                       | 12 |
| VI—კუელოს თავგადასაცალი, — კ. მაღაქაშვილის                        | 14 |
| VII—სტეირი, — დ. ქსი ჭავა-ფშაველასა                               | 25 |
| VIII—ვარდების სამეფო, — (დასასრული) თარგ. თაშნირ დო-<br>მაურისა . | 27 |
| IX—საბრალო მოხუცი, — (ფრანცული) ბოთრიშ ჭაბაზარისა                 | 36 |
| X—ასტრონომია, (დასასრული), — ივ. ბაშართელისა.                     | 43 |
| XI—შავი ქვა, — (მარგანეცი), ნ. წერწევასი                          | 53 |
| XII—გასართობი: რებუსი და აღსნა .                                  | 62 |



# იაკობ გოგეგაშვილის გარდა- ცვალების გამო.

არ თვითონ არ გამოიყენო

უფროს ავსა სიყვარული არავის აქეს, რათა  
სული თვისი დასდევას მეგობართა თვისთათვის.

(სახ. იოან. 15. 13.)

მწყემშან კეთილმან სული თვისი დასდევას  
ცხოვართათვის.

(სახ. იოან. 10. 11.)

**ტ**აც უნდა ვსთქვაო, დღეს ვგრძნობთ, რომ ყველაფე-  
რი მცირე და უფერული იქნება იმ დანაკლისის გა-  
მოსახატიად, რასაც დღეს ჩვენ, ქართველები, განვიციოთ. გა-  
ვგვშორდა ის ადამიანი, რომელიც ყოველ ქართველს, დიდსა  
და პატარას, თავის მოკირნახულე საყვარელ მასწავლებელ-მე-  
გობრად და ქომაგად მიანდა... ეს დიდი ადამიანი იყო იაკობ  
გოგებაშეილი, ის იაკობი, რომლის სახელი ამ ორმოცდა  
წელიდი წლის განმავლობაში ყოველ ქართველ ბავშვს პირველ  
წევითხულ სიტყვისათანავე შეუტებია და შეჭყარებია.

ვის არ გამოიუცდია ის სიხარული და აღტაცება, როცა  
პირველად დიდის დაკირვებით, გატირვებით და გულის ფან-  
ტქილით, ანბანზე ანბანის მიწუობით, გაარჩევ სიტყვას და პირვე-  
ლად წაჟიოთხულ სიტყვებს წამოიძახებ. ეს ისეთი წამია, რომელ-  
საც მოელ სიუკულეში ვერ დაივიწყებს ადამიანი და მოელ  
სიუკულეში იმის უნობა-მოწყვარეობის და შეგნების საფუძვ-  
ლად ხდება.

ამ პირველ სიტყვას, ამ პირველ აღტაცებულიშვილისთვის  
რული თრმოცდა შვილი წლის განმავლობაში განიცდიდა ყოველი  
ქართველი ბავშვი და ამ პირველ სიხარულს უკავშირდება  
იმ ადამიანის სიყვარულს და პატივის უქმას, რომლის მეოხები-  
თაც იყო გამოწვეული ბავშვის ნორჩ გულში ეს დიდი გრძნობა.

მე მასსოვს, როგორ ვისწავლე გურიაში, სოფელში, კა-  
თხვა და როგორ წაეკითხე პირველი ორი სიტყვა; ეს პირ-  
ველი ორი სიტყვა იყო — „იაყობ გოგებაშვილი.“ ეს მოხდა  
ინისის ერთ მხიან დილას. ძალიან მინდოდა მესწავლა კით-  
ხვა და ქსოხოვე ჩემ ბიძას, მოსწავლეს, რომელიც საზაფხუ-  
ლოდ შინ იყო ჩამოსული და დიდის გატაცებით კითხუ-  
ლობდა ხოლმე „ყარამანიანს,“ ჩემთვისაც ქსწავლებინა კი-  
თხვა. მან წამიყვანა ჩვენი ეზოს გასწავრივ პატია ლელესთან,  
ჩამაყენა ამ ლელეში კოქაზდის ფეხშიშველა \*), თითონაც გვერ-  
დით მომიღვა, გადაშალა წიგნი და ორჯერ გადამაკითხა მოე-  
ლი ანბანი. ან, ბან, გან, დონ და სხვ. . ამისსნა, რომ თუმცა-  
ან, ბან და სხ. ჰქევიან ანბან, მაგრამ გამოითქმის ა, ბ, გ,  
დ. შემდეგ-კი მითხრა: — ახლა წიგნი დაკვეცე და ხეილამდის-  
შიგ იღარ ჩახედო, თორემ ანბანი სულ დაგვირწყდებათ;  
და ამოეიდა წყლიდან. მე წიგნი მაშინვე დაკვეცე, მაგრამ ჩე-  
მი ყურადღება მიიჭირა წიგნის ყდაზე მოზრდილი შევ ასოე-  
ბით დაწერილმა სიტყვებმა და მაშინვე იქავე წყალში შეუდე-  
ქი იმათ გაოჩევას. არ ვიცი რამდენი დრო მოვახმარე ანბანის  
გამოკანობას და სიტყვების გამოთქმას, მაგრამ წავიკითხე კი  
„იაყობ გოგებაშვილი.“ ვერ ავსწერ, რა სიხარული ეუ-  
ფლი ჩემ პატია გულს. მასსოვს — აღტაცებითა და უცირილით  
გავიქცე შინ. „წავიკითხე, წავიკითხე მეთქი“, და როდესაც  
შემომეგება ჯერ ჩემი ყვირილით შეშინებული და მერმე გახა-  
რებული დედა და მომექვია, იეტირდი სიხარულით. მას შემ-

\*) გურიაში ბავშვებს წყალში ჩააყნებდნენ ხოლმე და ისე ასწავ-  
ლიდნენ კითხვას, — წყალივით სწრაფად შეისწავლისო.

დეგ ეს გრძნობა მაღლობისა ამ სიხარულისათვის აწერ მომავალი შორებია ჩემ გულს არასოდეს. შემდეგ, როდესაც გაეცაჭანა იყენება იაკობი და ვეტერი, ყოველთვის ნათლად ვერძნობდი იმ დიადი სამსახურის მნიშვნელობას, რომელიც მან გაუწია ბავშვებს, —ვერძნობდი, რომ სამსახური გასწია იმიტომ, რომ გულით უყვარდა ბავშვები, განსაკუთრებით კი ქართველი ბავშვები, და ეს დაუშრეტელი სიყვარული მთელ მის მოქმედება-მოღვაწეობას საფუძველია დაედო.

ამ სიყვარულით ცხოვრობდა იგი გარდაცვალების დღი-მდის. ეს სიყვარული აძლევდა იმ დიდ ენერგიის და შრომის უნარს, რომლითაც ის იყო გამსკვალული მთელი ნახევარი საუკუნის განშავლობაში. და ამ დაუშრეტელმა სიყვარულმა ერთი ადამიანისამ გამოიწვია უფრო დიადი და დაუშრეტელი სიყვარული იაკობისადმი მთელ ქართველობის გულში; აატი-რა და დაამზღვიარა იგი იაკობის ამ ქვეყნისაგან განშორებისა გამო.

ამ ნახევარ საუკუნის წინად იაკობმა გულით იგრძნო ჩვენებურ ბავშვების უნუგეშო მდგომარეობა და დაუწერა „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „კონა“ და მრავალი საყმა-წვილო მოთხოვნები. უნუგეშო მდგომარეობა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მაშინ სრულიად არ იყო ჩვენში საბავშვო მწერლობა და, თუ ახლა გვაჭვს ჩენ ეს მწერლობა, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ქართველ ბავშვთა მეგობრისა და მოკეთის იაკობ გოგებაშვილის მეოხებით არის. იმან ჩაუყარა მტკიცე საუძველი ამ მწერლობას.

იმან გვიამბო დედა ენით, ე. ი. დედის სიყვარულის ენით ბავშვის ჭირ-ვარამი, ლხინი, სიხარული, მან გაგვილო ბუნების კარი, დაგვანახვა სიცოცხლით მჩქეფარე ბუნება და შეგვაყვარა ყოველი. ყვაეილი, ყოველი ბილილი, ყოველი სულ-დგმული: მძლავერ ლომიდან დაწყებული უბრალო ჭია-ლუამდე. და ყველაფერი ეს—დედის მოსიყვარულე ენით. და გინა ბუნებრივი არ არის, რომ გვიყვარს და ვგლოებთ მის განშორებას?



მაგრამ ეს უმთავრესი გარემოება როდი, ჩატარებულია ჩვენთვის ძვირფასია იმისი ხსოვნა, — ყოველმა ჩვენგანმა უნდა გაითვალისწინოს ის, თუ რა აძლევდა იაკობს ძალას სიყვარულისას განათლების ასპარეზზე, რისთვის „დასდვა შეუემსმან კეთილმან სური თვისი ცხოვართათვის?“ საამისო ძალას აძლევდა და თავს მსხვერპლად აწირეინებულ შას იმედი აღამიანრისა, იმედი დიდი მომავლისა, მური სიყვარულის დამყარებისა კაცთა შორის; ის ამას ემსახურებოდა განსვენებული, — ეს იყო იმისი ოცნება, იმისი იდეალი, და ის ეს უნდა აღიბეჭდოს ყველამ თავის გულში და თვისი მოვალეობადაც დაისახოს კეთილი აღამიანის, უანგარო მოსიყვარულეს, დიდი იაკობის ხსოვნის წინაშე.

ნინო ნაკაშიძე.





## ი. ს. გოგებაშვილის ხსოვნას.



ცრემლებულა პუნეტა,  
ფერი უცვლია შთვარესა,  
უა დაუთალხავს შევადა  
ღრუბელსა მცლოვარესა.

ქვითონებს ქარი, ქვითონებს,  
მოსთქვაშს ამბავსა მწარესა,  
მოსთქვაშს და თანაც ზარის ხმით  
შეჰკვნესის არე მარესა.




დასძახის: „მოკუდა, ალარ გვეავს  
საშეილი-შეილო გმირიო,  
საერო კეთილ-დღეობის  
სამსხვერპლოდ შენაწირიო.

კვლავ ერთი მცველი მოაკლდა  
ჩაგრულ სამშობლო მხარესო;  
გაცივდა გული მოყვრისა,  
სამარეს მიაბარესო.”

პასუხიდ დედა ქართლისა  
მწარედ სტიროდა, ჩიოდა;  
„არავის სწორი ცრემლები“  
ერის გულიდან ხეოდა.

გ. ქუჩიშვილი.





## იაკობ გოგებაშვილი

**ს**ომელ თქვენგანს არ გაუგონია, ბავშვებო, ეს საყვარელი და ძერტასი სახელი; რომელ თქვენგანს არ უსწოვლია დედა-ენა, ბუნების კარი, Руское Слово; კი არ წარუიოთხვეს მისი „იაკინაშ რა პქნა“, კონა, კოკორი,



აყიდო და სხვები?! . სკოლაში მისვლისათანავე უნდა მომზადებული დედა-ენას მისგან შედგენილი სახელმძღვანელო წიგნის საშუალებით გასწავლიან; მისივე ბუნების კარი გილებთ თქვენ ბუნების კარებს, შეტყევებართ შიგ და გაცნობთ და გასწავლით მრავალ-ფეროვან ბუნების მოელი თავისი შინაარსით. ამ სახელმძღვანელოების გარდა მან დასწერა კიდევ მრავალი სხვა-დასხვა წიგნები და წერილები განეთებში, რუსულ და ქართულ ენაზე. ორც ქრთველ შექრლის წიგნები არ არის ისე მრავალად მოდებული და გვერცელებული ხალხში, როგორც განსვენებული იაკობ გოგებაშვილისა. გამოუაწვარიშნიათ და აღმოჩნდა, რომ ორმოცდა შეიდი წლის განმავლობაში, 1865 წლიდან დაწყობილი 1912 წლამდე, მისი წიგნები ქართულ და რუსულ ენაზე სულ 1,167,000 ცალი დაბეჭდილა და გვერცელებულა.

განსვენებულმა იაკობ გოგებაშვილმა მოელი თავისი სიკოცბლე ქართველი ხალხის სწავლა-განათლების საქმეს და განსაკუარებით-კი თქვენ სწავლა-აღზრდას შეალია. ნახევარ საუკუნეზე მეტი, ის კეშმრიტი მშობელისური სიყვარულით და მზრუნველობით, თავს დასტურია ლებდა და კვლებოდა ქართველ ბავშვებს, რომლების ნორჩი გულში მრკიცედ ნერგავდა სამშობლოა ენის, სამშობლო ქვეყნის და მშობელი ხალხის სიყვარულს. მან აამაღლა, გააფაქიზა და ააყვავა ქართული ენა, ეს უძლიერესი იარაღი ქვეყნის კეთილ-ტლებისა.

იაკობ გოგებაშვილის სიკვდილით ჩენ დაკარგეთ ქართველი ხალხის კირისუფალი, დიდებული მოამზე და მოკირნაზულე; ქართველმა ერმა დაჰქარგა კეშმარიტი შამა. დაბლიუნენ ქართველი ბავშვებიც.

და აი, ამისთვის ამჟამად გულდათუთქული გლოვობს მას მოელი ჩენი მხარე.

დიდის ამბით, მრავალი ხალხის, მოელი საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდან გამოგზავნილ დეპუტაციების დასწრე-



ბით დაასაფლავეს ჩვენი ძვირფასი მოღვაწე. მრავალი და მარტივი თაღი სიტყვები წარმოითქვა დასაფლავებაზე.

დიალ, აღარ გვყავს იაკობ გოგებაშვილი, რომლი ს ნაშთი 10 იქნის დიდუბის ეკლესიის საკანებ მიისცენა ციც გულზე; მაგრამ უკვდავი დარჩი მისი სახელი. იაკობ გოგებაშვილი ლრმად ჩიტბარხა მისი საყვარელი ქართველი ხალხის გულში, და მუდამ იქნება მისი ხსოვნა და სიყვარული, სანამ ქართველი ხალხი არსებობს ქვეყანაზე.

ი. იაკობაშვილი.





## მთის ხას.



კ, მთიო, მთიო!.. ნეტავი შენ, რომ აგრე  
გულ-ცივად ამართულხარ ცის კამარაში და  
შეუშფოთრად გადმოჰყურებ ბარად გაშ-  
ლილ დაბეზავებულ სოფელს! — იტყვიან  
ხოლმე ჩემშე ადამიანები.

— მე-კი ი ამაზე რას უპასუხებ:

— ეეე, ადამიანო, ადამიანო, რა გესმის,  
ან რას მიხედება, თუ რა ამბავია, რა ცეც-  
ლის გენია ტრიიალებს მთების გულში... თქვენა გვინიათ, ვა-  
თომ მდუმარე და მრისხანე მთები არისა გრძობდნენ, არაფერს  
განიცდიდნენ?

ოოოქ, სცდებით, ძალიან სცდებით, ბარის მცხოვრებნო!  
ჩენ მკედრები როდი ვართ; ვინც ასე ფიქრობს, თვითონ  
მკედარია... ჩენ გულ-მკერდში ისე ჰყეთქს და ღულს სი-  
ცოცხლის მჩქეფარე ძალა, როგორც მრავალ სულიერებ-  
ში...

თუ აფ-კარგისა და ტუუილ-მართლის გაგება გსურს, რა-  
ტომ ერთხელ მაინც არ დააკირდები ბუნების ყოფა-ცხოვრე-  
ბას...

აგრე, ხომ ჰხედივ, გასწვრივ რომ მალალი მთა მთ-  
სხანს?

— ჰა!

— მის მწვერვალზე გაჩერებულ ნისლ-ლრუბელსაც ხომ  
კარგა ამჩნევ.

— როგორ არა.

— ჰმ, და მთის ფიქრიც სწორედ ის ნისლი-ღრუბე-  
ლი გახლავთ.

აიღდ თუნდ თქვენივე სოფლის წყანწყარი წყარო; ვანა  
ის კი ჩემი ტრემლებისგან არ არის შემდგარი?

ემ, რა იცი, რა, ადამიანო!?

დაუსრულებელი და უსაზღვროა ჩვენი სურვილი...

ვერავითარი ჯოჯოხხეთური ძაღლა ვერ დააშრობს ჩვენ  
დაფარულ ზღვა გრძნობას..

იდუმალია ჩვენი წუნილი... ათასში ერთი თუ მიგვი-  
ხდება გულის ვარამს... ისიც ბევრია...

უენონი ვართ, მაგრამ მეტყველენიც კი ვერ იტყვიან იმ-  
დენ რასმე, რამდენსაც ჩვენ, მდუმარე და წარბ-შეუხრებელი  
მთები...

უკვდავნი ვართ და უკვდავია ჩვენი კვნესა, ჩვენი სიმღე-  
რა...

— რისთვის ან რადაო? — მეოთხავთ თქვენ: — რა ვიცი? —  
დამბადებელს ასე გაუჩენივარ... შენ იყვ, მთო, მებატონე  
დროთა ბრუნვისა, და მეც ვდგევარ ასე უძრავდ, შეუტყვე-  
ლად, როგორც მოწამე მრავალი საუკუნობისა...

— ვინ რა იცის, რა ამბავია, რა ხდება, რა მარხია, ან რას  
იწერენ მთები გულის სილრმეში ..

— დედ, უვიცა და უგრძნობელმა ადამიანებმა იძახონ,  
რომ მთებს არაფერი ეყურებათ, არც არის გრძობენ, მკედარია  
და ციფი მათი გული, როგორც საფლავის ლოდიო; ჩვენ მაინც  
ვიტყვით: ვსულუხლობთ!.. ვსულუხლობთ!..

8. ქუჩიშვილი.





იბრ თმი

## პეპელოს თავგადასავალი.

### I.



ოფორ გვეკადრება, სტეფანე? განა მაგეებს  
კითხვა უნდა? ჩემი მამიშვილის ოჯახში  
სხვას ვის გასჭირებია, რომ შენ შვილს  
გაუჭირდეს!

პირდაპირი პასუხის მაგიერ ასეთი სი-  
ტყვებით მიმართა ნატომ თავის მოსამსა-  
ხურე გოგოს მამას, რომელიც ჩამოვიდა სოფლიდან შვილის  
სანახავად.

— მაგაში მეც დარწმუნებული ვარ, ჩემი ბატონი, თო-  
რემ სხვას როგორ ვანდობდი ჩემ სისხლსა და ხორცს, — უთ-  
ხრა მოკრძალებით სტეფანემ.

— გარწმუნებ, რომ შენს ოჯახშიაც არ იქნებოდა ავრე  
არხეინად შენი ქალიშვილი... ისე ვეძცევი, როგორც საკუ-  
თარ შვილს...

— ღმერთმა სიკეთე ნუ მოგაელოს... ღვთისნიერი მშო-  
ბლების შვილი ხარ, შენი დედმამის კეთილობა მთელ ჩვენ

სოფელშია განთქმული და... შენ ც ისეთი იწნები, ამბობდა კურუკულა  
სტეფანე; ნატო-კი ლაპარაკს არ აცლიდა და განაგრძობდებოდა კურუკულა

— ვერ წარმოიდგენ, სტეფანე, როგორ გაიწაუ და გაი-  
წროვნა... სიტყვა-პისუხი, სამსახური, ოჯახის მოვლა - ისეთი  
ისწავლა, რომ სწორედ მოგეწონება... ტანთჩაცმა, დახურვა,  
რეცხვა, წმენდა...

— კარგია, თქვენი კვნესამე, კარგი... მადლი გერგებათ:  
საწყალი ადამიანის შეიღია...

— ერთხანს ძალიან გაუჭირდა, მაგრამ ახლა-კი უცელა-  
ფერზე შეჩვეულია ...

— რასაკირველია, გაუჭირდებოდა... სოფელში გაზრდი-  
ლია... აქ-კი ქალაქია, — ეუბნებოდა სახე გაბრწყინვებული  
სტეფანე, რომელიც სკამზე იჯდა და ცალ-ხელში რომ ქუდი  
და ჯოხი ექირა, მეორეთი დაკრებულ შირვალზე ჩოხის კალ-  
თებს იუარებდა. თან ერთობ სცვენოდა, რომ შელებილი ია-  
რა კი, სადაც-კი ფეხი დაადგა, სულ მტერისაგან გათეთრდა.

მუსაიფი განაგრძეს; ცოტა ხნის შემდეგ ვიღაცამ სიხლის  
კარები გააღო, — ეს ნატოს ქმარი იყო, სამსახურიდან დაბრუ-  
ნებული. ის შეატანის იყო, ჩასქელებული, ფერ-მკრთალი.  
ჩატიქტებულ სახეზე მარტო ულვაშები უჩინდა. სტეფანეს  
დანახვაზე თავში რაღაც არასასიამოვნო აზრშა გაუჩინდა: —  
სწორედ გოგოს ჯამაგირს მომთხოვს, იფიქრა; ამ აზრშა  
სახეც დაუღმიქა, მაგრამ, რაკი დაინახა, რომ ზეზე ამ-  
დგარი სტეფანე პირდაპირ უცქეროდა და სალამისათვის გა-  
მზადებულიყო, თეითონაც ნაძალადვად გაიცინა და, კითმ-  
და დიღმდ ნასიამოვნებმა სტეფანეს მოსკლით, ლიმილით მია-  
ძახა:

— ომ, სტეფანეს ვახლავარ, სტეფანეს... ვამირჯობა,  
ვამირჯობა, — და ამ სიტყვებით ხელიც გაუწიოდა ჩამოსართ-  
ვევად.

— ღმერთშა გამირჯობა ნუ მოგაელოს, — უპასუხა სტე-  
ფანემ და, რაკი შეატყო, რომ ღონისურად ხელის ჩამორთმე-  
ვას ჯოხი შეაშლევინებდა, ხელიც მიაყუდა იგი კედელზე და



ლევანისკენ გაეშურა, თან თრიცე ხელი ჩამოსარიტუალი გამოიყენდა. მაგრამ ჯერ მისაღმება ვერც კი დაესტულებინა, რომ . ჯოხმა იატაქზე ბრიგვანი მოიღო და ერთი ხმაურობა ასტება. ისედაც დარცხვენილი სტეფანე სულ დასწვა ამ გარემოებამ: ხელად ჯოხს წაგბლაუკა, მოღიშის მოხდაც დაიწყო, მაგრამ უცელაფერი ისე უხერხულად და მოუხეშავად მოუვიდა, რომ მიწა გახეთქოდა—ის ერჩივნა.

— არა უშავს-რა, ჩემო სტეფანე,— გაამხნევა ლევანმა, რომელმაც ხელად გაიხადა პიჯაკი, მოიხადა ქუდი და ისევ. სტეფანეს მიმართა:

- სტეფანეჯან, სოფელშიაც ასეთი სიცხვებია?
- კი ბატონო, იქაც ასეა...
- დავიწვიო, მეტი აღარა ვართ ადამიანები...
- დიდი სიცხვებია... ბატონო, დიდი...
- ყანა რას შერება? გვალეთ ხომ არ აწუხებს?
- ჯერ-ჯერობით დიდად არა, და თუ ასე გაგრძელდა...
- ისე პირი როგორი უჩინს მოხივალს?
- ლეთის მაღლით არა უშავს... ვისაც რამე აქვს, სარ- ჩის მისცემს ღმერთი...
- კარგია, კარგი... ამბობდა ლევანი და ცხეირსახოცა აფრიკალებდა.

— ქალო, — მიმართა მან კოლხს, — ლეთის გულისათვის, ერთი ცივი წყალი დამალევინე; ლამის გავხელდე კაცი სი- ცხით.

— ჯერ კიდევ გაგრილდი, თორემ გაწყენს, — უთხრა ცოლმა, რომელმაც ცოტა ხნის შემდეგ დოქით ცივი წყალი გამოიტანა. ლევანი ზრდილობის გულისათვის ჯერ სტეფანეს შეეპატივა წყალს, ხომ არ მიირთმევო, და, რაյი სტეფანესაგან უარი მიიღო, თვითონ მიირთვა. იცოცხლეთ, სტეფანეს სწყუ- როდა, მაგრამ სირცეილის გამო ვერ მოეთხოვა წყალი და თავს იშაგრებდა.

— სხვა, ქალო, ბავშვები სად არიან.



— კოკილოსა ჰყავს სასეირნოდ.

— ამ სიცხეში რა დროს სეირნობაა, აღამიანოში შემოწმების გადადო ბავშვები?

— დაიგვიანა იმ შერტხვენილმა... მოვა საკაა... სასეირნო ბაღი ახლო გვაქვს, — უპასუხა ცოლმა და თან ცქერა დაიწყო იქითკენ, ხაიდანაც კოკილო და ბავშვები უნდა მოსულოს კვენენ.

— სხვა, შენ როგორ სცხოვრობ, სტეფანე? ჯანზე როგორა ხარ? — ჰყითხა ბოლოს ლევანმა.

— გმადლობთ, ბატონო, როგორც შეეცერება გლეხ კას. ხან ვად, ხან კარგად...

— ჩემი მოყვრების ამბავი თუ იყო რამე?

— კარგად არიან, ბატონო; მაგათანა ხელ-მომთბარ ხალხს რა უჭირთ!.. წერილი გამომატანა თქვენმა სიღედრმა და ნატოს კიდევ გადავეცი.

— დიალ, მომცა... დაემოშვა ნატო.

ლევანის ცოლი ნატო, სტეფანეს სოფლიდან იყო და სტეფანემაც დაწვრილებით უძმბო სიძეს სიღედრ-სიმამრის ოჯახის ამბავი.

— კოკილო მოდის .. ბავშვებიც მოჰყავს, — სთქვა ამ მუსაიფის დროს ნატოშ და ფანჯრიდან შეილებს გადასტინა.

კოკილოს მოსელის ხსნებაზე სტეფანეს გულში სიხარულმა გაირბინა, თვალები გაუნათლდა, ტუჩებზე ღიმილმა გადურბინა. „ერთი წელიწადია არ უნახავს საწყალს და ახლა რაგვარად იამება ჩემი ნახვაო,“ გაიფიქრა და შეშაბანდიდან გადიხედა. კოკილო საზაფხულოდ იყო მოტოსული: წინ თეთრი წინსაფარი, თავი თეთრით ჰქონდა წიკრული. პირველად მამა ვერ შეამჩნია, მაგრამ, როგორც იცნო, მაშინვე შურდულივით გამოექანა მამისკენ. ნატოს მაინცა და მაინც არ იამა, რომ ბავშვები შეა ეზოში მიატოვა გოგომ; უნდოდა ამისა-თვის ჩეკულებრივ კარგად შეეყვირებინა, მაგრამ სტეფანეს



ମୋରିବିଲା ଦା ତାଙ୍କ ଶ୍ରେଷ୍ଠଗୁରୁ । କ୍ରିୟାନ୍ତର୍ଗତି-ଜୀ ଓ ଏହା ମନୋରୂପିତର୍ମାତ୍ରଙ୍କା  
ଅଳ୍ପଲ୍ଲେ ବାହୀର୍ବେଦା ଦା ଶ୍ରେଷ୍ଠଲ୍ଲେ ପାର୍ଶ୍ଵପାତାନ ମିଳିବେଦା । ଆଶାଧାରିଯାଇ

— მაში, — მიაძიხა კუკელომ და კისერზე ჩამოეკიდა.

— ඊගලු, — හිංකිරුතිනුලා ප්‍රේටානෝම දා මැදරාද තියුණු ගුළුවේ.

კარგა ხანს იყვნენ უსიტყვოდ, ერთმანეთს იყვარღებოდნენ, უცინდნენ.

სტეფანეს პირველი სიხარული თან-და-თან კმუნებად ეცვლებოდა. ჩამდენადაც უკირდებოდა, იმდენად არ მოსწონდა შეილის ჯანმრთელობა: გამზღვად, უქრ-მკრთალად, დასუსტებულად ეწვენებოდა. „სოფელში-კი ყაყაჩოსავით იყოვო,“ ფიქრობდა და თან მოკრძალებით იხედებოდა ლევანისა და მისი ცოლისკენ. კეკელოც ცალი თვალით ქალბატონისკენ იცქირებოდა— იმის ხომ არ სწინის ჩამდე და, რაკი შეატყო, რომ მაინც და მაინც არ ესიამოენებოდა მამისგან კეკელოს გაჩერება, უფრო მოკრძალება დაეტყო.

— აბა, კარგად დაავეიორდი, ჩემო სტეფანე, თუ ვერ მო-  
მიელია შენი შეიღისათვის! . თუ ვერ ჩამიცმევია ტანზე, ფეხ-  
ზე! .. აბა თუ ვაკეს შენი შეზობლების ვოფოებს... მისი ტო-  
ლები ახლა სოფლიად ბატებს უდგიან და ღორებს, და ეს-ვი  
ხალხში ურდევია, — უთხრა ლიმილით ლევანმა სტეფანეს.

— იკოტხლე, ბატონი, იკოტხლე, სამაგიეროს ღმერთი გადავიჩდის, — ეუბნებოდა სტეფანე, რომელსაც მაინც და მაინც არც იძღვნად მოსწონდა შვილის მორთულობა, მაგრამ პირდაპირ ვერ თოქეა.

— საკუთარი შეიღოვით ვუვლი, მეტურად ვაცხოვრებ, მშენენიერ სახლ-კარშია,—განაგრძობდა ლევანი.

„კუელაფერი ცეცხლში დაგიბუვოს...—მე ამას ჩემი მა-  
მის ქოხ-მახი მირჩევნია,“ გაიციქრა კუელომ და გულ-დამ-  
წვარი შეხედა მამას.

— კეთქი, შენი ასე გაჩერება არ ვარგა ახლა! მამა შენს

უნდა ემსახურო; წალი, საღილს მიხედვე,—უთხრა ნაძალიდები  
ლიმილით ქალბატონშია. კეკელოს ცოტა არ იყოს გაუცემული მართვა  
როცა ქალბატონისგან ასეთი ტეპილი სიტუა გაიღონა; სამზა-  
რეულოში შევიდა და გაიფრქრა: „ეს ალბატ მამაჩემის მორი-  
ლებითა-“თ. კეკელო სიხარულით ფეხშე არ იდგა, გულში ჩი-  
ტი უფრინავდა. „აბლა კი წვევლ, გავშორდები აქაურობას,  
რავი ცველაფერს უამბობ მამას, მაშინვე წამიუდნესო,“ ფიქრო-  
ბდა და ცა ხელი უწვდებოდა. „ნასაღილებს მარტი დავრჩე-  
ბით და ცველაფერს ვეტუვიო,“ ამბობდა თავის გულში; სრუ-  
ლი დარწმუნებული იყო, რომ მამა სურვილს აუსრულებდა.  
აგონდებოდა სოფელი, იქური ცხოვრება და სიხარულით ფეხ-  
შე არ იდგა, თუმც დედოს მოგონება გულს უთვეჭავდა.

სადილობის დროც დადგა. სტეფანე შიოპატიევს სუფრაზე, იყო ერთობ მორცხვობდა, თან ეზინოდა—არაფერო ვაკეტებია სუფრაზე, ან ჭამაში არ უკრცხება. გაფონილი პერნი, რომ შდიტრებს რამოდენიმე თავი საჭმელი მოსდით სუფრაზე და ხათაბალა ისაა, თუ რომელი ვჭამო უწინაო. ყველაზე მწრად ეპინოდა დანა-ჩანგლისა და, როგორც კი დაინახა, მნ შინვე პირს კატა ეცა: ვაი თუ მეც იმ ვერანებით დამკირდა საჭმლის ჭამაო, და რა ვენა, როგორ მოვიხმაროვო, — ფიქრის ბდა. მაგრამ ლევანი დაკირავდებული კაცი იყო და ოცნება, რომ სტეფანე დანა-ჩანგალს ვერ მოიხმარდა და სტეფანეს ვა-სათამაშებლად ხუმრობით სთქვა:

— ქალო, ღვთისგულისათვის, ეს დანარჩენებლი გმიშმო-  
რე აქედან!.. ვის გაუტონია ამითი საჭმლის ჭამა!.. ღმერთშეა  
ხელყები იშისათვის მომუა, რომ საჭმელი შეთი შემწეობით  
კვამო... ადრე ავის არ არის ას ხავალი აქება ეს არა.

ମାର୍ଗତଳ୍ଲାପ ଲ୍ୟେବେନ୍ ପିଲ୍ଲାର୍ଜୁଲାର୍ ଦ୍ୱାରା କିମ୍ବା ଏକ ଉପରେ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ଆଶିଷ ଦେଇଥିଲା, ଯାହାରେ ତାନ-ଫ୍ରା-ତାନ-ଜୀ ଶ୍ୱେତମାତ୍ରାରୀ, ଖଣ୍ଡତାପ କ୍ରିୟେବ୍ରାନ୍ତରେ ଘୁଣି ପ୍ରାଣ-ପରାମର୍ଶ ମିଳିଥିଲା.

## II.



ისადილეს. როგორც ლევანი, ისე მისი მეუღლე ხატო, გარეგნულად მინც პატივისცემით ქმედდნენ სტეფანეს. კეკელოს ცოტა არ იყოს უკვირდა ესა და თან სიამოვნებდა, რომ მისი მამა კაცად ჩააგდეს და არ დაამცირეს. პირველ სიამოვნების მეორე ემატებოდა—ისა, რომ თვითონ კეკელოსაც დღეს უწინდებურად არ სტუქსავდნენ და არ დასჩინდნენ. კეკელავერი ეს თითქოს ავიწყებდა მის განვლილ გაჭირებას, რომელიც ლევანის ოჯახში გადახდა. და მერმე რამდენი მწარე დღე გასთენებია კაელოს აქა? აგრე ერთ წელზე მეტია, რაც ამ ოჯახშია, და მგონი თარი დღეც არ ახსოვს, ისეთი, რომ არ ეტიროს. ლევანის ცოლი ერთობ შეუბრალებელი ხასიათის ქალი იყო: ერთი წამი რაა, მოსვენების არ აძლევდა გოგოს: ხან თავახებს აგვერნებდა, ხან არეცხვინებდა, ხან სადილს ამზადებინებდა და ვინ იყოს კიდევ რა. თან სმაჟამისაც ამადლიდა, ტანხედაც არ აცმევდა ხეირიანად. როკამეზობლის ქალები ეცყოდნენ—რაა, ქალო, რომ ამ უბედურის შეიღს ფეხს არ გიცმევი და ტანსო, ნატუ თავის გასამართლებლად იტყოდა:—ქა... ერთი შეხედე ამათა!.. რომ არ იციან რაშია საქმე! ღმერთს გეფაცებით, შნო არა აქეს მოხმარების, თორებ ვინ თავ-მკედარი დაიშურებდა რამეს! ფეხსაცმელი ვერ უტარებია, ქალო, ასეთი გაგონილა? მეუბნება—სოფელში ფეხშიშველად სიარულს დავეზივი და აგრე მირჩევნიაო... მეზობლის ქალებს ამ სიტყვებზე ლიმილი მოსდიოდათ: კარგად იცოდნენ, რომ საქმე ნატოს კრიუანგობაში იყო და არა სხვა რამები, მაგრამ აბა მეტი რა უნდა ეთქვათ მისთვის. ერთი მგლისკენაც უნდა სთქვაო. გამიგონია, და ნატოს დანაშაულის შესამსუბუქებლად ის რა უნდა მოგახსნოთ. ის ერთობ ღარიბი მოხელეს ცოლი იყო: მისი ქმარი თვითონად ხუთ თუმანს ჯამიგირს იღებდა. ამ ფულებით სახლიც უნდა დავჭირავებინა და ოჯახიც შეენახა,—ტანთ ჩაუკა ცოლ-შვილისა—



თვის სასმელ-საჭმელი არ მოეკლო; რასაკეირუელია, პატ-ქუმრის ფული უველავერს ვერ გასწევდებოდა და ხელ-მოქერილადაც უნდა ყოფილიყვნენ. მე რომ მეოთხოს კაცმა, ეს ხელმოქერილობა იქამდე უნდა მისულიყო, რომ ლევანს და მის მეუღლეს მოსამსახურე გოგო არც კი უნდა იყვანათ და თვითონ უნდა ეშრომათ; მაგრამ ნატო გვარიანი კუდაბზიე ქალბატონი გახლდათ და უმოსამსახუროდ ცხოვრების როდი კადრულობდა... — ღმერთო კი მომქალი, როგორ შემიძლია მთელი ოჯახის ზურგზე მოკიდება; მამაჩემის სახლში არავერს არ ვაკეთებდი, — განუტადა ქმარს და ისიც იძულებული იყო მოსამსახურე გოგო იყვანა. რამოდენიმე გოგო გამოიცვალეს; ვერივის გაეძლო მათთან. ბოლოს სიმამრმა სოფლიდან სტეფანე და მისი ქალი კუკულო მოჰვერა სიძეს და ქირაშიაც შეარიგა — თვეში ორ მანეთად, რომელიც ყოველ თვის თავზე უნდა მიეღო სტეფანეს; მაგრამ იგერ წელაწალი გავიდა და ჯერ ერთი გროვშიც არ მიუღია. სწორედ ამ ფულებისათვის იყო დღეს სტეფანე ჩამოსული, უნდოდა ყოველ წუთს თქეა ლევანისათვის, მაგრამ ვერ მოეხერხებინა — ტკბილმა მოპყრობამ მოისყიდა.

დიალ, იმას მოგახსენებდით, კუკულოს გული თითქოს მოინადირეს ამ დღეს ლევანშია და ნატომ. მაგრამ ეს წუთიკერი იყო: როგორც კი კოტათი ჩაფიქრდებოდა კუკულო, მაშინვე იტუოდა: „მაგეებით ვერ მომატებობთ, გულს ვერ მომიბრუნებთ თქვენა; ვიცი, რისთვისაც იჭირებით ასეო,“ და გული ზინძით ეფერებოდა. მოუთმენლად ელოდა იმ წამს, როგორ თავის მამასთან მარტო დარჩებოდა და მის წინაშე თავის გულის ნადებს ამოანთხვდა. მაგრამ არ იქნა და ვერ ელირსა სასურველ წამს: დიასახლისი ხან იქით გზავნიდა და ხან აქეთ. ლევანიც როდი იშორებდა თვალთაგან სტეფანეს და რაზე არ ემუსაიფებოდა, თუმც მისთან ლაპარაკი არც ისე ეპიტნავებოდა; გულში იშასაც-კი ამბობდა: რა ეშმაქმა მოგახერხა, ან როდის იქნება, რომ წიგნედო.

კოლ-ქარმა შშეგნიერად იკოდნენ — თუ მამა და შვილს



ერთად დასტოვებდნენ და იღაპარა კებდნენ, სტეფანე<sup>157</sup> მარტინი წილი და მოვალეობა მოვალეობა მოვალეობა გასაჭირო ეტყოდა; ეს კი ლევანისა და შისი ცოლისათვის დიდად საზარალო იქნებოდა: ჯერ ერთი ჯამაგირი უნდა მიეცათ და მერმე—უმოსამშახუროდაც დარჩინილიყვნენ. მაგრამ თავი და თავი ის იყო, რომ ქვეყანაში თავი მოექრებოდათ: ცველა იტყოდა— აუტანელი ადამიანები არიან, ერთ გოგოსაც ვერ გაუძლია მათ ხელშიო... სწორედ მისათვის იყო, რომ აგრე ასტატურად იქცეოდნენ და მამა-შვილს ერთმანეთს არ იყარებდნენ გულდასმით საღაპარა კედა— გულ-უბრყვილო სტეფანე ვერაცერ ამის მაგვარს ვერ ამჩნევდა.— პირიქით სრულიად დარწმუნდა მათ გულ-კეთილობაში და გულის სიღრმეში უხაროდა, რომ ასეთ დფასისნიერ ხალხში ეზრდება თავისი ქალი. კეკელო-კი უფრო გრძნობდა რაშიაც იყო საჭმე და თან-და-თან ბრაზდებოდა: „ღმერთო ჩემო, რამდენი უგინებიათ საწყალი მამსჩემი ჩემი ვაზრდისათვის, რამდენი ულანძლივთ თართავს, დამკინდნენ კიდეც—ასეთისა და ისეთის შეიღი ხარო, და ახლა-კი როგორ ემატებილებიან მამას!.. მაგრამ ვიცი, რაშიცა სა-ჭმე“-ო,— ფიქრობდა იგი... მაშის ავად ხსენების მოვონებაზე დედაც მოაგონდა და გული აუზუდა: „უღმერთონი, უსინდი-სონი, საწყალი დედაჩემიც რამდენჯერ მოიგონეს, საფლავში არ მიყენებენო,“ გაიტიქრა და თვალები ცრემლებით აესო.

საღამომაც მოაწია. სტეფანე ცოტა არ იყოს გათამამდა და უწინდებურად როდი მორცხვობდა: თამიშად ლაპარაკობდა, მოძრაობდა. მაგრამ ახლა უბედურობა ის იყო, რომ ამაღამ სად უნდა დაწოლილიყო. ეს-კი იყოდა, რომ წადიო არავინ ეტყოდა და ლევანი თავის სახლში მოასევნებდა, მაგრამ მაგარი ის გახლდათ, რომ ლევანისას მოსევნებას ერთობ ერიდებოდა სტეფანე.— „საჩემო ქვეშაგები სად ეჭნებათ, — ვაი თუ გავსვარო ჩემი პუპიონი ტანისამოსით აქაურობა და თავი მომექრასო,“ — ფიქრობდა. მაგრამ ბოლოს თავი დოიმედა: სადაც ჩემი შეიღი წვება, მეც იქ მოვისვენებო; მუსაიფის-

იმედიც გაშინ ჰქონდა. მაგრამ, თქვენც არ მომიკედები და შეილიც ისეთ ალაგებს დააწეინეს, რომ მათი შეხვედრა ყოვლად შეუძლებელი უყო; მასთან, ჩენ პრეფერის რომ ევონა, არც ისე სუფთა ლოგინი მოუტანეს—ერთი დამტნარი ლეიბ—საბანი და ასეთივე მუთაქა მოუჩინეს შუშაბანდში. კოტა არ იყოს კიდეც ეწყინა ესა, მაგრამ მაღვე წყენა სიმ მოქნებად შეეცვალა—თავისუფლად მაინც მოვისვენებ ზედაო, — იფიქრა და შეილზე ფიქრებს შეუდგა: „ეს ცველაფერი კარგი, ძალიან პატივი—კი მცეს, მაგრამ გოგოს რომ ვერ მოველაპრას კერი რაღაცა დატანჯულად გამოიყურება ბავშვი: ვაი თუ ცუდ ყოფაშია? მე უბედურმა რად ვერ გამოვეითხე ცველაფერი? რად შემრტეა? ხეალ ტილოთვე გამოვეითხევ ცველაფერს: საჭ-მელ-სასმელი როგორი აქვს, მოვლა—პატრიონბა... დაპირებია სამებრ წერა—კითხვა თუ ასწილეს?, ამ ფიქრის დროს თვილე წინ ედგა ცამეტ-თოთხმეტი წლის კავკასიონ, სახე-გაფითრებული, მოწყენილ-გამომეტყველების მქონე? „საწყალი“... ალბად ენატრება სოფლად წისელა, ნიჩევე ადგილებში განაერრება... მოუხდება სოფლის ჰაერი... ან-კი რა იძლებინებს აქა. ასეთი სიტყვებია, ცველაფერი მტკრითაა სავსე. ვერსად მოლს ვერ ნახავ, ციც წყალს ვერ დალევ... შეილო, იქნება სატანჯელ-ში ჩიგაგდე და სული წავიწუმიდე?.. ამბობდა სტეფანე თავის გულში და სიჩრირით იგონდებოდა მომაკედავი ცოლის სიტყვები: ბავშვებს უპატრონე, არ გაამწარო, სული არ წილ-წყმიდოთ.

„ მეორე მხრივ სტეფანეს შეილისა ნამოჯამაგირევი ფულის იღებაც ყოველ წუთს ახსოვდა, უმთავრესად-კი ამისათვის ჩამოვიდა, თორებ მშ მუშაობის დროს აბა როგორ მოიცულიდა. სულ ოცდა-ოთხი შანეთი ერგებოდა, დღეში ასჯერ გამოინგარიშებდა და გული უნათდებოდა, როცა წირმოიდგენდა ერთად ამდენ ფულს. გადაწყვეტილი ჰქონდა თხუთმეტი მანეთის სიმინდი ეყიდა, დანარჩენით-კი თავისი იძლები შეემოსა და თვითონაც ფეხსაცმელები შეეძინა—რათა ქალამნებისათვის კუირაობით მაინც წულები შეენაცვლებინა.



კეკელო-კი ამ დროს ცრემლებში იღრჩიობოდა; ამისმაღადავა  
ვად მოკუნტულიყო რაღაც მჩერებში გახვეული და გულ-  
ამომჯდარი სლოვინებდა. კარგად შემჩნია, თუ რაშიაც იყო  
საქმე და როგორ არიდებდნენ მამას; წინდაწინვე ვრძნობ-  
და, რომ მამის წასელის შემდეგ ერთი-ორიად ამოამწარებდნენ  
ამ ერთი დღის შედარებით კარგად მოპყრობას. ეს იქიდანაც  
დაასკენა. რომ დიასახლესმა დაწოლისას კბილების კრიჭუნით  
ჩუმად მუჯლუგუნი უთავაზა და—წადი, დაეგდე იქაო—მიაძა-  
ხა და სამზარეულოსკენ მოუთითა. ზამთარ-ზაფხულ აქ წვებო-  
და კეკელო ერთ გახრევილ ფიცარზე; მისთვის არც ლეიბი  
იყო და არც ხეირიანი სასოფუძლი. საბნად რაღაც კონკის  
ძეელა ჰქონდა. „ჯერ გათენდეს, და მერე მე ვიტი, —ფიქ-  
რობდა კეკელო, — ყველაფერს ვერუვი მამას და კიდევ წავ-  
უვები სახლში.. არ მინდა აქაურობა, ლერტომა დასწყეველოს  
და შეიჩენოს ეს ქალაქია თუ რაღაც... ჩემს ნებაზე ვერ გა-  
მივლია, ვერ მისუამას და ვერ მიქამია... გაუუსტებული ჰაერია...  
აქაურობას მამიჩემის ქახი სჯობია... იქ შენს ნებაზე ყოფნას  
რა სჯობია!.. აქაურ პურსა და ხორცს იქაური შევი მხალი  
სჯობს“... კეკელო გაიტაცა ფიქრში და მოგონებამ. თვალ-  
წინ დაუდგა სოფლის კარმიდამო, ამწვენებული მინდორ-ველი,  
მოდუდუნე მდინარე, შეზრდილი ტოლები და ითისი სხვა რა-  
მე. ამ მოგონებამ უფრო აუზილა გული და მეათასედ გადა-  
სწყებულა, რომ გავყოლოდა მამას. „მაგრამ დედა რომ  
არ დამზედება სახლში,“ აღმოხდა გულის სილრმიდან და ურ-  
მლები ლაპა-ლუპით გადმოსცვიდა

### 3. მალაქიაშვილი.

(დასასრული იქნება).





## ස එ ම ර ම ර.

ඡ ති ඊලිස විශාව, ව්‍යුතින්දෝ,  
ලේඛ්‍ය අන්තරා—ව්‍යුතින්දෝ...  
ප්‍රමාත දෙදෙස මුදු ඇ තුළාර්ස,  
රුගුණරු මේ නිශ්චි ප්‍රාගාර්ධන...  
වේදාශ්චේදී තෙළුග්මිත,  
වේර මුළු මුළු පිරින්...  
ජ්‍යිත්මාද, ප්‍රම ඇ දාමිදුම්දේස  
නේ නිශ්චි තාලුනිස-නිනින,  
තුළුලිස නින්දේදාප තුරුප්පේසි  
නිශ්චි දාන්තිනි දා ගිරින්.  
ව්‍යුතින්දෝ නිශ්චි පිහුණුප්‍රේදු  
ඇරා දානිස තාලා-නිනින.  
මිනදා ප්‍රාගින්ස ජ්‍යෙෂ්ඨිස්ථල්ඩරුම,  
ජ්‍යෙෂ්ඨිස්ථල්ඩ, තැඹුම්ප අරා වුයින්දෝ;  
සුළ අමාස වුයින්දෝ: නිශ්චි ප්‍රාගින්ස  
රා වාත්ස්ජුනින උපිලන්,

ରନ୍ଧା କେବେଳିଲେ ଶ୍ରୀଲୁହୁର୍ମୁଖ ଏହାମନ୍ତର,  
 ମନ୍ଦିନାର୍କଳ ଦ୍ଵାରୁଫରତରେ ଦାଳିନୀ,  
 ଏହା ମନ୍ଦିରା ଶ୍ରୀମଦ୍ଭାବ ଶ୍ରୀପ୍ରମାଣିକ  
 ଗୁରୁନୀରେ ଗାନ୍ଧାରମନ୍ତରିନୀ,  
 ନାନ୍ଦକୁମାର ଏରିଲେ ମନ୍ଦିରା:  
 ଦ୍ଵାରାରୀ, ବ୍ୟାଲାରୀ ଚଲେଇଲେ ଶ୍ରୀପାଠିନୀ;  
 ଶ୍ରୀପାଠିନୀ ତାତୀରନ୍ତିରୁ ଦୂରାରୀରା,  
 ବ୍ୟାଲାରୀ ଗମିରନ୍ତିରୁ ଗମିରନୀ,  
 ଶ୍ରୀପାଠିନୀ, ବ୍ୟାଲାରୀ ଅଥିଲେ ନାନ୍ଦକୁମାର,  
 ମନ୍ଦିରିତ ଶିର୍ଷେଶ୍ଵର ତାତୀରା,  
 ବ୍ୟାଲାରୀରୁ ଶ୍ରୀପାଠିନୀ;  
 ଏହା ଦୂରାରୀରୁ ଶ୍ରୀପାଠିନୀ.  
 ନାନ୍ଦକୁମାର ମନ୍ଦିରା;  
 ଶାକିରୀ ଜନାର ଗାନ୍ଧାରମନ୍ତରିନୀ,  
 ଦ୍ଵାରା-ଦ୍ଵାରା ଦୂରାରୀରୁ ମନ୍ତରିନୀ  
 ତାତୀର ତାତୀର ଶ୍ରୀପାଠିନୀ ଶ୍ରୀପାଠିନୀ,  
 ଅଥିତ-କୁ କୁରୀ ଏରି ମନ୍ଦିରନ୍ତିରୁ  
 ପ୍ରମେଲି ଗାନ୍ଧାରମନ୍ତରିନୀ.  
 ଦ୍ଵାରାରୀ କାରାସନ୍ଧାନୀରା  
 ଶ୍ରୀମନ୍ଦିରା ଶାନ୍ତିରେଣୀ ଶ୍ରୀପାଠିନୀ —  
 ଲ୍ରତିନୀ ଦୂରା ଲ୍ରତିନୀ-ମନ୍ଦିରନ୍ତିରା,  
 ବୀରିପୁ କ୍ରୀଣି ଗାରିତ ଶିରିନୀ.  
 କୁରୁକୁ ଶାନ୍ତିରେ ମନ୍ଦିରନ୍ତିରା,  
 ତାତୀର ପର୍ମିମନୀ ପାତରକୁମାର, ଶରୀରିନୀ

ବ୍ୟାକୁଦ୍ଧ ଲୋକ





## ვარდების სამეფო.

(დასასრული).



აღი განათებული იყო: ხეივნის აქეთ და  
აქით ჩამოყიდებულ ათასეურ ფარნებით  
ნაზ ნათელსა ჰუენდა მახლობელ ტოტებს.  
გზებზე არაერთ მოსახნდა; მხოლოდ ხან-  
დისხან ქარს მოჰქონდა მხიარული სიკილი და ჭურჭლის  
წერიბლი. ბავშვი წავიდა იქითევნ, მარიანა და ლილი უკან,  
გაძყვნენ. ცოტა სიარულის შემდეგ ხეებ შუა გამოჩნდა  
პატარა ლამაზი მოედანი. შუაში იდგა დიდი მაგიდა საკმელე-  
ბითა და ბოთლებით გაესილი; მაგიდას გარს შემოსხდომიდ-  
ნენ მორთული ქალები და კაცები; ყველანი იცინოდნენ, ლა-  
პარაკობდნენ, სკამდნენ სადლევრძელოებს.

ბიჭი ჩრდილში იდგა და გაოცებული შესკეროდა ამ  
სურათს. ამ დროს მოსამსახურებმ გამოირბინა და შეამჩნია  
ჩრდილოში მდგომარე.

შენ აქ რა გინდა?—დაიყვირა იმან.

ბავშვმა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და განათებულ ალა-  
გას გამოვიდა. სტუმრებმა შეამჩნიეს. ბიჭი მივიდა ერთ გაბ-  
ლინჭულ ვაებატონთან, მოიხადა ქუდი და ნელი წილიაპარაკა:

— დედაჩემა გამომგზავნა; იქნება შემწეობა აღმოგვიჩი-  
ნომ.



ბატონშა აიღო მაღლა თავი და შეხედა ბავშვების დასაცავის  
— ვინ არის დედა შენი, ჩემი პატარევ?

— ანნა ლინეი, მოსარეცხვე... იმან მითხრა თქვენზე,  
უთუოდ გვიშველისო. დედა ჩემთა მითხრა კიდევ, რომ მამა  
ჩემი თქვენი გულისთვის ჩასვეს სატუსალოში.

— ჰომ,—სთქვა ბატონშა და უკნოურად დაიღრიქა,—  
მე არ მასსოვს არც მამაშენი და არც დედაშენი, ჩემი  
კარგო!

— რა კადნიერი რამ არის, —მიუბრუნდა სტუმრებს.

— აი კიდევ რა მოუგონიათ ფულების დასაცინ ლავად.  
სტუმრებმა ლაპარაკი შესწყვიტეს და ცნობის მოყვარეო-  
ბით დაუწყეს ბავშვს ცქერა.

— მე ხომ ვითხარი, ბიჭო, რომ არ ვიუნობ შენ მშობ-  
ლებსა-მეთქი: მოსარეცხვებთან არაფერი საერთო არა მაქვს, —  
ბრძანა ბატონშა და რაღაც ანიშნამოსახურეს.

— მამა, შეიძლება მსხალი მოვცე! — გაისმა ამ დროს ბავ-  
შვის წერიალი ხმა; ლამაზმა პატარა ვოგონამ მიირბინა ბიჭ-  
თან და ლიმილით გაუწოდა მსხალი.

მოსამსახურე — კი ამ დროს სკუდილობდა, როგორმე გაე-  
ყვანა ბავშვი ბალიდან.

ერთმა სტუმართაგანშა ამოილო ქისიდან ორი თითო მა-  
ნეთიანი და მიაწოდა მოსამსახურეს.

— მიეცი, — უთხრა იმან და ანიშნა ბიჭზე.

— საწყალი ბავშვები! — მშვიდად წარმოსათქვა სახლის პა-  
ტრონშა, — ყველაფერში დედები არიან დამნაშავენი, აჩვევენ  
მათხოვრობას.

მოსამსახურე — კი ამ დროს ის ორი მანეთიანი ჯიბეში ჩაიდო  
და ერთი ძველი შაურიანი მისტა ბავშვს.

ბიჭმა ნაღვლიანად დახედა ფულს და მერე ნელ-ნელა  
კოჭლობით ვასწია კარებისკნ.

— წავიდეთ — გვეყოფა, — სთქვა პატარა ლიღიშ, — საშინ-  
ლადნ დავიღალე, წავიდეთ ჩქარა.



თვეოლები დახუჭა და მიეკრა დედას.

მარიანას ეგონა, რომ ამის შემდეგ ლიდი აღარ მოგვიწიოდა დომებდა ადამიანების ნახვას, გამხიარულდებათ, მაგრამ ასეულია გაუსრულდა. მთელი დღეობით ლიდი ჩაფიქრებული დადოდა, ფერი დაჭირდა, სრულებით აღარა თამაშობდა, დაჯდებოდა ხოლმე ზღვის პირას და ფიქრობდა, განუწყვეტლივ ფიქრობდა რაღაცას.

იმის გარეშემო-კი სიცოცხლე სდულდა და გაღმოდიოდა, მშვენიერი ფერიები მხიარულებით იცხებდნენ იქაურობას, ბანაობდნენ ანკარა ზღვის ტალღებში, გვირგვინებსა სწნავდნენ, ცვევავდნენ, იცინოდნენ.

— განა არ მოგწყინდებათ ხოლმე მთელი დღე ეგრე სიაბეღლი და თამაშობა? — ჰერთა ერთხელ ლიდიმ პატარა ფერიას.

— ჩეენ ხომ სულ არა ვთამაშობთ, — უპასუხა ფერიამ, — ძალიან ბევრი საჭმე გვაჭვს. დილით, გაიღიოდებს თუ არა მზე, ჩეენ ბაღში გამოვრჩიეართ, ულოცავთ ვარდებს მშვიდობიან დილის, ვაფრისხობთ ფრინველებს. მერე რა յარგია ვარდების მთაზე დილი! ყველაფერი იღებდებს, ისმის ფრინველების გალობა, ფურცელის ბზული, კრიკინის ჭიანური, ვარდის ფურცლებზე ილმისებსავით ბრწყინვას ცრემლები. ძილისაგან გაწიოთლებული კოპტია ვარდები მხიარულიდ შესკინიან ამომავალ მზეს. შემდეგ მივრბიერთ ზღვისკენ იმ კეკლუც ვარდებთან, რომლებიც იზრდებიან სწორედ წყლის პირად. ვინც ყველაზე იღრე მივა, იმას ნება აქვს მოსწყვიტოს ერთი ვარდი და ატაროს მთელი დღე. მერე ვგანაობთ. რა მხიარულ კიერის ავტეზავთ ხოლმე, როდესაც ზღვის ტალღები ავვიყვანს ჩალლა და, იქიდან დაქანებულნი, მიფრინავთ საღლაც შორს, ზღვის შეუა-გულისკენ. ბანაობის შემდეგ საჩქაროდ უნდა მოვაგროვთ ზღვის ლამაზი კენჭები და ლოკურენები დედოფლისთვის — ყოველ დილით დედოფლის დარბაზს ჩეენ ახალ-ახალ ლოკურენებითა ვრთავთ, იატაკზე-კი

ვშლით ახლად მოწყვეტილ უკავილებს. შერე გვიჩვენები გვაქვს დასაშნოვი. ვინც საღამომდის გვირგვინს ვერა ჰქონდები, ის ვერც მონაწილეობას მიიღებს საერთო ცეკვას! რა მთავრებულებაში. შოლოდ საღამოთი ვიულით ცეკვისთვის; ემთხორულობი იმ დრომდის, სანამ არე-მარე არ გაბრწყინდება მთვარის ვერცხლის ფერი ნათელით.

— შერე არა გბეზრდებათ ეს განუწყვეტილი სიმხიარულე!

— არასოდეს! ჩვენ არ ვიცით რა არის მოწყენა.

ლიდებმ ნალვლინად ჩატქინდრა თავი.

ლამე-კი, როდესაც მთვარის მკრთალი ნათელი ეფინებოდა არე-მარეს, მთები ეხვევედა ბრწყინვალე ბურუსში და ზეირთები ბუტბუტით ნელა მოგორიავდნენ ნაპრისიკენ. ლიდი ჩამოჯდებოდა ზღვის კიდეზე და უურს უგდებდა ტალღების ლაპარაკებს. ზეირთები უამბობდნენ ლიდის, როგორა სცხოვრობნენ ადამიანები დედამიწაზე, როგორ იტანჯებიან; ეუბნებოდნენ იმასაც, რომ ადამიანებს არავინა ჰშველის! ლიდი გულ-მოდგინედ უგდებდა უურს ამ ამბებს და იმისი პატარა გული ივ-სებოდა ისეთი ტანჯვა-ვაებით, რომ ბავშვი გამწარებული პირკვე ემხობოდა მიწაზე და ტიროდა, ტიროდა...

— ნეტაფი შემეძლოს შეელა! ამბობდა გულში.

ზეირთები-კი ლაპარაკობდნენ, სულ ლაპარაკობდნენ.

— დღეს მეოცეზე დაიღრჩი, — ამბობდა ერთი, — დარჩა ცოლი და შვილები. რაღას იზამენ ის საცოდვები? სუკველაზე პატარა ჯერ ვერ დადის, შოლოდ ტიკტიკობს: „სად არის მამაჩემი? ვინ წაიყვანა მამაჩემი?“

— მე კი პატარა გოგო ვნახე, — ამბობდა შეორე, — წყალში იღვა საწყალი და სარეცხს ავლებდა. ფეხები გალურ-ჯებოდა, ხელები გაშეშებოდა სიციფითა; სარეცხი-კი მთელი კალათი ჰქონდა გასაველები. დედა ვვად გახდომოდა; ბოროტი ქალბატონი დამუქრებოდა, თუ სარეცხს დროზე არ ჩამარებ, კაპეიქს არ მოგვცემო.

ასე ელაპარაკებოდნენ ზეირთები. ამ დროს-კი ვარდების

მთელი სამეფო ძილს მისცემოდა და უპნაურ სიჩმრებში გამოიყენებოდა თულს სრულებით არ იკონდებოდა დედამიწა და იმისთვის უკავშირობები ხარება. არ ეძინა მხოლოდ ლიტის ის ყურს უკდებდა ზეირ-თების მწარე სიმღერას და ფიქრობდა დიდხანს, ზღვის ნაპირას წამოწოლილი.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ლიდი გაიხარდა, დაჭაბუკდა. მუდამ ჩაფიქრებული ჩუმი ლიდი აწუხებდა მარიანას.

— დედა! — სთვეა ლიდიმ ერთ შშვენიერ დილის, — ალარ შემიძლიან აქ ცხოვრება. სული შეხუთება... მინდა ადამიანებთან ცხოვრება, მინდა ციშრომო მათთან ერთად და, რითც შემეძლება, დავეხმარო.

— ლიდი, შენი კირიმე! — ამოიკვნესა საბრალო დედამ, — შენ გინდა დამტოვო აქ მარტო, გინდა გამცემო სილარიბესა და მწუხარებაზე.

— დედა, საყვარელო დედა! — ამბობდა ლიდი, — გამიშვი ადამიანებთან. ბელნიერი ვიქნები იმათთან. გამიშვი, დედა, თუ გიყვარვარ, თუ ჩემთვის სიკეთე გინდა.

საწყალი მარიანა დასთანხმდა, თუშა-კი გულში ჯოჯონეთის ცეცხლი უტრიალებდა: იმისი ერთად-ერთი საუნჯე, იმისი ლიდი თავს ანებებდა, მარტოდ-მარტო სტოვებდა დედას.

ალარ გაახარებს არც ბრწყინვალე ცხრა-თვალია მშე, არც ფრინველების საამური ეკვილ-ხიკილი: სრულებით მარტო იქნება ქვეყანაზე.

— შჟიღობით, ჩემო ძეირფასო ბიკიკო, — ნაღვლიანის ხმით ამბობდა მარიანა და უკოცნიდა პირისახეს: დღეს შენ ახალ ცხოვრებას დაიწყებ. ღმერთმა გაგაბედებიეროს... გახსოვდეს: თუ ძლიიან ცუდად წავიდა შენი საქმე, იქნება მოინდომო ვარდების სამეფოში დაბრუნება; მაშინ ოღონდ გამოსთვეო ეგ სურვილი, იმწამსვე იქ გავწილები და წამოგიყვან-შჟიღობით, მშვიდობით, ჩემო ძეირფასო.

დედის ნაზა ხმაშ ტკბილ ნანინასაებ იმოქმედა. ლილი  
ჩაეძინა.

პირველად მოუკიდა ტუჩებზე ლიმილი, პირველად გაუ-  
წითლდა ლოყები, პირველად მიიღო იმისმა სახეშ ბედნიერი-  
გამოქმეტყველება. ლიდიმ იყრძნო, რომ ნელ-ნელი მიფრინავს  
ჰაერში. ჰერძნობს, რომ მის გარეშემო სინათლეა, თუმცა-კი  
თვალები დახუჭული აქვს; ისმის მუსიკის მშვენიერი ხმა,  
ფრინველების გალობა, შადრევნების ბუტბუტი და ჩუმი ჩურ-  
ჩული ფოთლებისა. უფრო-კი ეყურება დედის ტბბილი ნაღ-  
ლიანი ხმა.

ხმები თან-და-თან მისწყდა, ახლა შორიდან ძლიერ-ლა ის-  
მოდა. ლიდი-კი მიფრინავს, სულ ჩქარა-და-ჩქარა. ყურებში  
სიშინელი ხმაურობაა, თავბრუ ესხმის. სინათლესაც ველარა-  
ჰერძნობს.

ლიდი იწეა დედაშიწახე, ტყის განაპირას: სალამო ხანი  
იქნებოდა, როდესაც გონი მოვიდა. მზის სხივები ჩუმად  
მოიპარებოდა ხეებ შუა. დამშევიდებულ ჰაერში მკაფიოდ ის-  
მოდა ცხერების ბლავილი. შორიდან ზარის წერიალი ხმა მო-  
დიოდა. იქვე მთის კალთაზე წამოჭიმულიყო პატარა ჭალაჭი.  
ლიდი წამოდგა და გასწია იქითქენ.

ჭალაჭის განაპირას იდგა დაბალი, თეთრი სახლი; პანდ-  
რები და იასამინის ბუჩქები ისე შემოხვეოდა გარს, რომ გეგუ-  
ნებოდათ სახლი ვიღაცის ემალება და ბუჩქებ შუა შეკუჩუ-  
ლოთ.

ლიდი ავიდა კიბეზე და ოთახის კარებში გაჩერდა.

ოთახში ბნელოდა. კედლებთან გამშურივებული იდგა წი-  
გნების შეაფები; აქა-იქ სურათები ეკიდა. კუთხეში თეთრად  
მოსჩანდა ადამიანის ჩონჩხი. მზის უკანისაქნელი სხივი წითელ  
ელფერსა სუემდა პატარა ბიქის სურათს, რომელიც ტახტის  
ზემოდან ეკიდა, და ყმაწყილ-ჭალის ოქროს-ფერ თავს, თოთ-

ქის უგზავნიდა მათ თავის უკანასკნელ სალაშს. ყმაწვევები მცხა-  
ლი დაყრდნობილიყო წიგნებით საცხე მაგიდაზე. იმის გვეტალით მარ-  
ტისტები, სწორედ სურათის ქვემოდ იჯდა პატარა მოხუცი.

ესენი იყვნენ — ფიქტორ მარქის და იმისი შეილი-შეილი  
ალინა.

ლიდი შარქსთან დარჩა და დაეწაფა სწავლას. თავის შე-  
ცადინეობისა და სურვილის წყალობით, ლიდიმ მაღვე გაუსწ-  
რო თავის ტოლებსა ხშირად იჯდა ხოლმე შეაღამედინ თა-  
ვის პატარა ოთახში და ჩისჩერებოდა წიგნებს; ათასში ერთხელ  
აიღებდა თავს მაღლა, რომ ცოტათი დაესცენებინა დალლილი  
თველები და გასცეროდა ფანჯრის იქით გადაშლილ ბალს.  
ამ დროს ლიდის წარმოუდგებოდა ხოლმე ვარდის ფრად გა-  
ნათებული სამეფო, ისმოდა შადრევნებისა და ფოთლების ჩურ-  
ჩული, ჰელავდა პატარა ფერიებს, ესმოდა ხმა, რომელიც  
იწვევდა იქ, სადაც სუმუდამ სიხარული და ბედნიერება სუ-  
ფუვდა. ლიდი გაიქნევდა თავს: სრული ბედნიერი რყა იმითიც,  
რომ ყოველ დღე იძენდა ახალ-ახალ ცოდნას. და ლიდის  
ფერ-მერთალი სახე ისევ წიგნებისკენ იხრებოდა.

გავიდა წლები. თეთრი სახლი უფრო ძლიერ ჩაიშალა  
ისამანის ბუჩქებში. თეთრონ სახლშიაც ბევრი რამ გამოიკვა-  
ლა დილიდან სალამომდის განუწყვეტლად ისმოდა, იქ ბავ-  
შების სიცილი და ექვსი პატარა ფეხი მარდად დარბოდა,  
ერთი ოთახიდან გეორეში.

სალამოთი, ბავშვები შემოქვეეოდნენ დედას და ისიც უ-  
მბობდა ზღაპრებს. სულ-განაბული უსმენლნენ ბავშვები დედას.  
ზოგჯერ ზღაპრი ისე გაიტაცებდა ხოლმე, რომ ვერც-კი შე-  
მჩნევდნენ, „როგორ გაიღებოდა ოთახის კარი და შემოვიდოდა  
ახალგაზდა ექიმი. მამის დაქანცულ სახეზე და ნაღვლიან თვა-  
ლებში შეითამაშებდა ლიმილი ამ სურათის დანახვაზე; აგონ-



დებოდა ის დრო, როდესაც პირველად შემოვიდა გრძელებული და დაინახა ყმაწვეოლი ოქროს-ფერ თმიანი ქალი და მოხუცი ექიმი. მოხუცი ექიმი მარქსი დიდი ხანია, რაც აღმარ არის ამ ქვეყნად.

— მამა! — შეამჩნევდა რომელიმე, და ყველანიგარს შემოევეოდნენ. მამა ჯდებოდა ტახტზე, იწყებოდა საერთო მხარელი ბასი, სიცილი, ხუმრობა. ოთახში თან-და-თან ბნელ-დებოდა

— ბავშვების ძილის დროა, აღონა, — ამბობდა მამა

შემდევ დაწყინარებულ სახლში კიდევ დიდხანს ისმოდა ლაპარაკუმბდნენ ჩვენი ნაცნობი ლიდი და იმისი ცოლი აღინა.

ერთ ზაფხულს ხორველა გაჩნდა. იმ ქალაქში, სადაც ლიდი სცხოვრობდა, ხალხი ასობით იქლიტებოდა. ყოველ დღე ქალაქის ქუჩებში დაინახავდით სამელოვარო პროცესებს საწყალ ხალხს-კი ილლიაში ამოდებული მისჭონდა სასაფლაოზე პატარი შევი კუბოები. არაეკომარი ღონის-ძიება არა პშველიდა ხალხს. გაუმაძლარი სენი სულ ახალ-ახალ მსხვერპლს ითხოვდა: ართმევდა შვილებს მამას, ხელიდან აცლიდა მშობლებს ერთად-ერთ შვილსაც-კი.

შეუბრალებელი სენი პატარი თეთრ სახლსაც მიეპარა. იo, გამოიტანეს იქიდან ჯერ თეთრი, პატარი კუბო, შერე დიდი, ყვავილებით მორთული. ზაფხულის ერთ ღრუბლიან დღეს ლიდი სრულდებით მარტო დარჩი. სული და გული თითქოს დაუცალიერდა და გაეყინა. დღეს მან მიაცილა საფლავებრივ თავის უკანასკნელი შვილი, რომელიც წევს აჩლა დედისა და ძმების გვერდით, შეუდრო, სველ სასაფლაოზე.

იმ შდგომარეობაში გაატარა დრო საღამომდის, თავით ხელებზე დაცურდნო. ვერ მჩნევდა, რომ ოთახში დაბნელდა. უკად ლიდიმ იგრძნო, რომ ვიღაც ნელა მიეკარა იმის სახეს და მოესმა ნაზი ხმა.

— ჩემთ საყვარელო ბიჭიკო! ჩემთ ძვირფასო ლიიდი მარტინი მენტანი შემიძლიან უყურო შენს ტანჯვას. წამოდი ჩემთან, დედა შენ-თან; ხომ იცი, ქვეყანაზე შემზე ძალიან არავინ მიყვარს. ვარ-დების საშეფოში დაისვენებ, დაიკიშუებ შენ მწუხარებას.

ლიდიმ გაუშოდა მოჩენებას ხელები და იმის დაქან-ცულ სახეზე ღიმილმა შეითამაშა.

სწორედ ამ დროს ეიღომაც კარები დააკაჯუნა.

— ექიმო, — სთექა ლარიბად ჩატულშია დედაკაცმა და ოთა-ხში შემოიხედა, — თქვენ თავის დღეში ლარიბებს უარს არ ეუ-ბნებით, ამიტომაც უყვარხართ მთელ ქალაქს. უშველეთ ჩემ პატარა ანელის. იქნება გადაარჩინოთ.

ლიდიმ მთელი ლამე ანელის გვერდით გაატარა. გათენებაშ მოატანა. ლიდი ისევ ავდმყოფთან იჯდა და უურს უგდებდა ბავშვის დაშვეიდებულ სუნთქვას. ახლა იმის სახეზე სასოწარ-კვეთილება იღარ იხილებოდა.

მაგრამ, ი, დახუჭა თვალები და ისევ მოესმა დედის ხმა:

— ნუღარ იგვიანებ, ჩემთ ძვირფასო! ტყუილად რაზე იტანჯები: დაანებე თავი ამ საცოდავ დედამიწას და წამოდი იქ, ბედნიერ ვარდების სამეფოში.

ლიდიმ თავი გაიქნია და ნელა უპასუხა:

— მაპატიე, დედა, ვერც ახლა დავპრუნდები შენთან. თავს ვერ დავანებებ აღამიანებს და ჩემ საქმეს. ნურც ინა-ლვლებ ჩემთვის. მე აქ უფრო ბედნიერი ვიქნები, ვიდრე მანდ, ვარდების სამეფოში.

ლიდის მოესმა კენესა; მერე იგრძნო, რომ ვიღოც შეეხო იმის სახეს და გაპქრა, სამუღამოდ გაპქრა...

ზოგჯერ სიზმარში ლიდი ჰეედავდა დედას, რომელიც იდგა გაბრწყინვებული ვარდის-ფერ სინათლით და სიყვარუ-ლით უღიმოდ იმას, მხოლოდ აღარ უძახოდა, წამოდი ჩემ-თანამ.

თ. ლომაური.



## საბრალო მოხუცი.

(ფრანგულით).



იდი ხანია მას აქეთ. პატარა კი-  
ყავი. მოკლე შერვალი მეცვა და  
ისეთი ზედატანი, როგორიც პატა-  
რა ბიჭებს აცვიათ ხოლმე. კვებ-  
ნით არ ვიტური, ლამაზი ბიჭი ვი-  
ყავ წაბლის ფერი გრძელი ხუჭუ-  
ჭი თმა ძალიან მამშვენებდა.

დიდი ხანია მას აქეთ...

ეს მაშინ იყო, როცა მე მხოლოდ თამაშობასა და ცელ-  
ქობაზე ვფიქრობდი, როცა მხოლოდ ჩემ რკინის ჯარის კა-  
ცებს ვეტრუიალებოდი და იმას ვფიქრობდი, ნეტავი მაღლე გა-  
თვენდეს, რომ წავიდე და ვითამიშო მეთქი. ეს მაშინ იყო, რო-  
ც... ეჭ!... რაღა როცა,—დიდი ხანია მას აქეთ... ერთი სი-  
ტყვით, ეძვის წლისა ვიყავი.

გამდელს თითქმის მუდამ დღე დაკუვანდი ბაღში სასი-  
ორნოდ. ითანამი ერთხელ კარუსელზე დამპატიუებდა ხოლ-  
მე, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, იშვიათი მოვლენა იყო, უფრო  
ხშირად—კი ჩემ პატარა მეგობრებს კეთმაშებოდი.

ერთხელ, ძალიან კარგად მახსოვეს,—მოწყვენილი ვიყავი,  
ბავშვები ჯერ არ მოსულიყვნენ და არ ვიცოდი ვისთან მეთა-

გაშნა; გამდელს ავუტყვდი, გინდა თუ არა, კარუსელზე წამო-  
ყვანე მეთქი. ის მარწმუნებდა, კარუსელი ჯერ არ მუშაობსთ  
